ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ეკო რუმსის" კრების ოქმი #3

ქ. თბილისი 10 ოქტომბერი, 2019 წ.

ამხანაგობის მისამართი: თბილისი, ამაღლების მე-3 ჩიხი (ყოფ. დავითაშვილის), #2, #3, #4 და #6, ს/კ **01.15.05.090.027**.
კრებას ესწრება ამხანაგობის სრული შემადგენლობიდან (26 წევრიდან) 23 წევრი, რაც შეადგენს ამხანაგობის 88,4 %-ს.

კრებას თავმჯდომარეობდა *ეკა კემულარია, პ/ნ 62005000668*
დღის წესრიგი:

1. **კორპუსის ეზოში ტერასებისა და მისასვლელი კიბეები მოწყობა**

მოისმინეს: ამხანაგობის წევრისა და თავმჯდომარის ეკა კემულარიას *(პ/ნ 62005000668) ინფორმაცია* იმის თაობაზე, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს #006250717 დასკვნის საფუძველზე საყრდენი კედლის მოწყობა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას მეწყერული პროცესების განვითარების თავიდან აცილებისა და მიწის გამაგრების მიზნით. გამომდინარე აქედან აუცილებელია საყრდენი კედლების, ტერასების, ფანჩატურებისა და მისასვლელი კიბეების პროექტის მომზადება, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში ნებართვის მიღების მიზნით განცხადების წარდგენა და, ნებართვის მიღების შემდეგ, მათი მოწყობა. ნებართვის მისაღებად აუცილებელია ამხანაგობის წევრთა თანხმობა.

მხარი დაუჭირეს: კრებაზე დამსწრეთა 100% (ამხანაგობის ყველა წევრის 2/3 -ზე მეტი) დაუჭირეს მხარი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს და თანხმობა მისცეს ეკა კემულარიას, რათა მან მოამზადოს კორპუსის ეზოში (თბილისი, ამაღლების მე-3 ჩიხი (ყოფ. დავითაშვილის), #2, #3, #4 და #6, ს/კ **01.15.05.090.027**) საყრდენი კედლების, ტერასების, ფანჩატურებისა და მისასვლელი კიბეების პროექტი, მოამზადოს ნებართვის მიღებისთვის აუცილებელი ყველა დოკუმენტაცია და წარადგინოს ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში.

კრების თავმჯდომარე: / ეკა კემულარია /

ეკა კემულარია

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათასოცი წლის ოცდაორ იანვარს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ქალბატონმა ეკა კემულარიამ.

მან წარმოადგინა ***ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ეკო რუმს“ წევრთა 2019 წლის 10 ოქტომბრის კრების ოქმი №3,*** ერთ გვერდზე, სამ ცალად და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა ქალბატონმა **ეკა კემულარიამ,** დაბადებულმა 1973 წლის 18 თებერვალს ოჩამჩირეში, პირადი №62005000668, რეგისტრირებული მისამართი: ოჩამჩირე, ფ.ენგელსის ქუჩა №22, რომელმაც განაცხადა, რომ ცხოვრობს ქ.თბილისში, ამაღლების ქუჩა №37, ბინა 4.

მე მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. განვუმარტე, რომ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე ოქმზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერები ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე. ქალბატონმა ეკა კემულარიამ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ოქმზე. ვამოწმებ მისი ხელმოწერის სინამდვილეს, ერთ გვერდზე, სამ ცალად.

გადახდილია 9,08 ლარი - აქედან: საზღაური 6,00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3 მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 1,08 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლისა.

ნოტარიუსი ნინო მასხულია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200066847
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.01.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	00444887084220

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18